*დანართი №1*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**
**სსიპ კოლეჯი სპექტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების**
**„საავტომობილო გზების მშენებლობა“,**
**„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“,**
**„Front-end დეველოპმენტი“**
**ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ნანა მონიავა

**წევრები:**

ირმა ღარიბაშვილი

ალექსანდრე კეკენაძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

**ნაწილი I. შესავალი**

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: -------სსსიპ კოლეჯი „სპექტრი“---------------------------------

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ----საჯარო სამართლის იურიდიული პირი---------

საიდენტიფიკაციო კოდი: -------208183605----------------------------------------------------------

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☒ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.*

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის MES 9 26 0000028853N1311804 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯი სპექტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები", „საავტომობილო გზების მშენებლობა" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით განახორციელოს მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 12 თებერვალს სსიპ კოლეჯ სპექტრში (თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10). ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. შედგა ჯგუფის დისტანციური შეხვედრა, სადაც განხილული იქნა ვიზიტის დღის წესრიგი. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექციასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| საავტომობილო გზების მშენებლობა | 15 | 7 | | |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | 60 | 19 | | |
| Front-end დეველოპმენტი | 60 | 23 | | |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*

## ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

### II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| საავტომობილო გზების მშენებლობა | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| კომპიუტერული ქსელი და სისტემები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| Front-end დეველოპმენტი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **<u>ყველა ხარვეზი</u>** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

*ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

**V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

*ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

**VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

**ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ**

**1. ზოგადი ინფორმაცია**

***ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საავტომობილო გზების მშენებლობა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საავტომობილო გზების მშენებლობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | კოოპერაციული სამუშაო გარემო |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 15 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 7 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

**IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**
*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა" ხორციელდება კოლეჯში. კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 15 პროფესიული სტუდენტი. აუდიტორია (კომპიტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16 ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით.
**დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შეძენილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული რესურსი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ კომპანიებთან - შპს "ესტაკადა 2020", შპს "ტესენ ქონსთრაქშენი", შპს "აბსოლუტ სერვისი", შპს „ფლორმასტერი". პარტნიორი კომპანიები დაწესებულებას ხელს შეუწყობს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.
კოლეჯს განსაზღვრული აქვს, თუ რა მატერიალური რესურსი უნდა გამოიყენოს კომპანიებში ვიზიტისას.**

**სწავლების ფორმად პროგრამაში გაწერილი იყო „იმიტირებული" სამუშაო გარემო, რაც ტექნიკური შეცდომაა. პროფესიულ სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში გასვლა უწევთ პარტნიორ კომპანიებში, ვინაიდან გარკვეული პრაქტიკული კომპონენტები უნდა გაიარონ სავალდებულოდ კომპანიებში. შესაბამისად, ტექნიკური შეცდომა სწავლების ფორმა „იმიტირებული" სასწავლო გარემო უნდა გასწორდეს- კოოპერაციულით.
ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამისთვის დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, მათ შორის 4 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 11/15. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს" და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პერსონალი. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს განაახლოს და შეავსოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კვალიფიციური პირებით.

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე, უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებიც და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგებიც. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, სასწავლო რესურსების განახლებაში. მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი. **დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური, წარმატებული ახალგაზრდა კადრი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. მონიავა ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მათ შორის, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული რესურსები. დარგის ექსპერტის მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა აღნიშნული ლიტერატურა, ვიზუალური დათვალიერებული იქნა საბიბლიოთეკო სივრცე. საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება პროფესიულ სტუდენტებს შეუძლია სათანადო ინვენტარით, კომპიუტერებით და პრინტერით აღჭურვილ დაწესებულების სამკითხველო დარბაზში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ საშუალება მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით, ისარგებლონ პრინტერით და ელექტრონული სახით არსებული მასალები ამობეჭდონ სურვილის შემთხვევაში, სამკითხველო სივრცით და მიიღონ ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი", რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" დირექტორის ბრძანებით N60ა, 2024 წლის 18 ივლისს. მარეგულირებელი წესის მიხედვით დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება, სასწავლო რესურსების ადაპტირება, სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სხვა ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის სასწავლო პროცესში ჩართულობას. განათლება" კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტს ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას. განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტუდენტი არ ჰყოლია. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯი წარმოადგენს სსიპ-ს სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით და, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს: პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას; პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული სტუდენტი. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. კოლეჯის ვებგვერდი: www.spectri.ge
2. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი
3. პერსონალის პირადი საქმე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

---------------------------

---------------------------

4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
5. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
6. ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიებთან
7. მიღება-ჩაბარების აქტები
8. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები
9. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შინაგანაწესი, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" დირექტორის ბრძანებით N15ა, 07.04.2021 წ.
10. ,,სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი", დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" დირექტორის ბრძანებით N60ა, 18.07.2024 წ.
11. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმე
12. საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი
13. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

*1. გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

*2. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 60 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 19 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 87 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 107 |

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☐ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**

***ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე***

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**
***ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე***

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**
**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჟიჟინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 60 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება, დაფა, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი, კარადა სადაც განთავსებულია დარგობრივი მოდულისთვის საჭირო აღჭურვილობა, კოლეჯმა სრულად შეისყიდა და ადგილზე აქვს კომუტატორი, მარშუტიზატორი, ანტისტატიკური ხალიჩა და სამაჯური, დამცავი სათვალე, და სხვა აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის.**დაწესებულებას სრულყოფილად აქვს შეძენილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები**

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები"საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 3 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. **ექსპერტთა შეფასებით,პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებაში (სსსიპ კოლეჯი სპექტრის დირექტორის ბრძანება N115, 05/04/2021)განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან **გაესაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის“ დირექტორის ბრძანებით N60ა, 2024 წლის 18 ივლისს. მარეგულირებელი წესის მიხედვით დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება, სასწავლო რესურსების ადაპტირება, სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სხვა ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის სასწავლო პროცესში ჩართულობას. განათლება“ კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ამ ეტაპზე ირიცხება 4 სსსმ სტუდენტი. მათ შორის 2 სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მეწარმეობის და უცხოური ენის

მოდულების დასაძლევად. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯი წარმოადგენს სსიპ-ს სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით და, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს: პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას; პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული ბიუჯეტით პროგრამის რენტაბელობის ზღვარი არის 10 პროფესიული სტუდენტი. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

8. კოლეჯის ვებგვერდი: www.spectri.ge
9. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი
10. პერსონალის პირადი საქმე
11. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
12. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
13. ხელშეკრულებები პარტნიორ კომპანიებთან
14. მიღება-ჩაბარების აქტები
15. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები
16. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შინაგანაწესი, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის“ დირექტორის ბრძანებით N15ა, 07.04.2021 წ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

17. „სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის ბრძანებით N60ა, 18.07.2024 წ.
18. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმე
19. საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი
20. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

*21. გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

*22. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**23. ზოგადი ინფორმაცია**

***ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | Front-end დეველოპმენტი |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

| | |
|---|---|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 60 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 23 |
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 60 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |

**III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

*ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| **2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება** | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

1. პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

----------------------------

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 60 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია, სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი ასევე ადიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება ,დაფა, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი და პრინტერი.**დაწესებულებამ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები.**

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმის შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.2 მოთხოვნები მეტწილად იყო დაკმაყოფილებული. მონიტორინგის დროს პირადი საქმეების შემოწმების და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი პროფესიული მასწავლებლები სრულად ფლობენ იმ ტექნოლოგიებს რომლებიც მითითებულია პროგრამაში და მოდულებში. „Front-end დეველოპმენტი" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 4 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მასწავლებელთა დატვირთვა, მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. **ექსპერტთა შეფასებით,პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**
**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

დაწესებულებაში (კოლეჯი სპექტრის დირექტორის ბრძანება N115, 05/04/2021)განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. კოლეჯმა განახორციელა პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება, და ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
**ექსპერტთა მიერ მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და რეკომენდირებულია მოდულებშიც და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ბიბლიოთეკაშიც ქართულენოვანი ლინკების და რესურსების დამატება.ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის.
**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის“ დირექტორის ბრძანებით N60ა, 2024 წლის 18 ივლისს. მარეგულირებელი წესის მიხედვით დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვა შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, სასწავლო ფართის სრულად ადაპტირება, სასწავლო რესურსების ადაპტირება, სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და სხვა ამავე რეგულაციითაა განსაზღვრული ისგს შედგენის პროცედურა. წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის/სსსმპ/შშპ ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის სასწავლო პროცესში ჩართულობას. განათლება“ კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტს ასისტენტებით, ჟესტური ენის თარჯიმნებითა და სპეციალური ასისტენტებით უზრუნველყოფას. განსახილველ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის 1 შშმ სტუდენტი, რომელიც არ საჭიროებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ასევე არის 3 სსსმ სტუდენტი, რომელთაგან ორისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯი წარმოადგენს სსიპ-ს სამართლებრივი მოწყობის თვალსაზრისით და, პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ ფინანსური ბიუჯეტი მოიცავს: პროგრამის ბიუჯეტი, შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

ხარჯების კალკულაციას; პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება, ხარჯებში- მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან), სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯები, ადმინისტრირების ხარჯი, კომუნალური ხარჯი, პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

8. კოლეჯის ვებგვერდი: www.spectri.ge
9. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების კატალოგი
10. პერსონალის პირადი საქმე
11. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე
12. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
13. მიღება-ჩაბარების აქტები
14. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები
15. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შინაგანაწესი, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის“ დირექტორის ბრძანებით N15ა, 07/04/2021 წ.
16. ,,სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი“, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის“ დირექტორის ბრძანებით N60ა, 18/07/2024 წ.
17. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის პირადი საქმე
18. საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი
19. ინტერვიუს შედეგებით

შეფასება:

*20. გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

*21. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

კოლეჯმა წარმოადგინა ახალი სასწავლო გეგმა „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია სარეკომენდაციო მიმდევრობა და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ხორციელდება სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვის. ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყოფილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

როგორც მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, ასევე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ და შშმ პირების მომსახურების პროცედურა და წესები, დაწესებულების მარეგულირებელ წესებში ასევე გაწერილია მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის საჭიროებებზე მორგებული სწავლების წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს სტუდენტთა მხარდაჭერას, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად ღებულობენ. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება/დგებოდა ადმინისტრაცია მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს. პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროგრამა ეფუძნება პროფესიული სტუდენტებისთვის ციფრული ტექნოლოგიების ათვისების საკითხს, პროგრამას აქვს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია სტუდენტებისათვის, სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება, პრეზენტაციები, ვიზუალური ელექტრონული მასალები და პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული თვალსაჩინოებები და სხვა რესურსები /თანამედროვე ტექნოლოგიები. თითოეულ მასწავლებელს ასევე აქვს გავლილი სწავლა-სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებში და მეთოდებში ტრენინგები, რაც წარმოდგენილია დოკუმენტურად მათ პირად საქმეებში.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სასწავლო პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სტუდენტების მოთხოვნაზე დროულად აბრუნებს უკუკავშირს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების რეგულაცია, რომლის თანახმად საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალურ საჭიროებას მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის) ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პროფესიული სტუდენტის/სტუდენტებისათვის, რაც გულისხმობს სტუდენტის საჭიროებაზე მორგებული გეგმის შემუშავებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროფესიული სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულ(ებ)ს და გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებს მისივე ჩართულობით ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებას აქვს საჭიროების შემთხვევაში მზაობა, პროფესიულ სტუდენტს შეუმუშავოს ინდივიდუალური გეგმები, თუმცა, ჯერ ამის საჭიროება არ დადგომიათ. მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტორს, რომ დაწესებულება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას ყოველთვის ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, ვინაიდან სრულად ხორციელდება იმიტირებულ გარემოში აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტი
2. კოლეჯის ვებგვერდი: https://spectri.ge/
3. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები და შინაგანაწესი, დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" დირექტორის ბრძანებით N15ა, 07/04/2021;
4. ,,სსსმ და შშმ პირებისთვის აკომოდაციისა და მოდიფიკაციის აქტივობების წესი", დამტკიცებული სსიპ კოლეჯ ,,სპექტრის" დირექტორის ბრძანებით N60ა, 18/07/2024;
5. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან;
6. სასწავლო ცხრილები;
7. ვიზუალური დათვალიერებით.

### 2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N9ა, N10ა, N11ა (27/01/2025). დოკუმენტი განსაზღვრავს სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს, ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს, აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს, ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის მექანიზმს. პროფესიული სტუდენტის შეფასება წარმოადგენს პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესს და ხორციელდება ორი ფორმით: განმავითარებელი და განმსაზღვრელი. განმავითარებელი შეფასება მიმდინარეობს სასწავლო პროცესში, უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესის მონიტორინგს და უკუკავშირის მიწოდებას. განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების საბოლოო შეფასებას შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს დამატებითი შეფასება. წინმსწრები მოდულის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევა გათვალისწინებულია სასწავლო გეგმაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------
---------------------------
---------------------------

მოდულებს შორის განსაზღვრულია საკმარისი დრო შედეგების დასადასტურებლად. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო მისი ვალიდაცია ხორციელდება სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების პროცესში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ინსტრუმენტის შემმუშავებელი პირი ვალიდაციის პროცესში არ მონაწილეობდა. აქვე აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტის შეფასება ხდება პირველადისაგან შეცვლილი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

კოლეჯში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც წარმოადგენს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. ვერიფიკაცია მოიცავს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების შემოწმებას და ხორციელდება დაწესებულებაში გაწერილი პროცედურების დაცვით, შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის პრინციპის გათვალისწინებით. ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობენ დარგის წარმომადგენლები/ექსპერტები. ვერიფიკაციის პროცესი ეფუძნება აღიარებულ პრინციპებს და მოიცავს რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას. ვერიფიკაციისათვის გამოიყენება სპეციალური კითხვარები, რომელთა სამუშაო ვერსიას ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პირველი შეხვედრისას ხდება კითხვარის საბოლოო ვერსიის შეჯერება, რომელსაც იყენებს ყველა ვერიფიკატორი. შეფასების ინსტრუმენტის, მტკიცებულებებისა და პროცესის ვერიფიკაციას ახორციელებენ დარგის სპეციალისტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ან მოწვეული განათლების ექსპერტები. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს მოდულისა და შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას. შეფასების ინსტრუმენტი უნდა იყოს ვალიდური, რელევანტური, ტექნიკურად გამართული, გასაგები ენით ფორმულირებული და უზრუნველყოფდეს ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას. საჭიროების შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფი უფლებამოსილია გამართოს შეხვედრა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ან შეფასების პროცესში მონაწილე მხარეებთან. ვერიფიკაციის შედეგები ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტარდება პრეზენტაცია ღია შეხვედრაზე. ვერიფიკაციის ანგარიშის საფუძველზე დაწესებულება ამუშავებს სამოქმედო გეგმას პრობლემური საკითხების აღმოსაფხვრელად. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ადგენს წლიურ ვერიფიკაციის გეგმას, უზრუნველყოფს ვერიფიკატორთა შერჩევა-ინსტრუქტაჟს, ინსტრუმენტების განსაზღვრას, დასკვნის პროექტის მომზადებას და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ვერიფიკაციის წლიური გეგმები, განხორციელებული ვერიფიკაციის პაკეტები და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის დოკუმენტაცია, სადაც ასახულია განხორციელებული ქმედებების დადასტურება. გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N9ა, N10ა, N11ა (27/01/2025)) არეგულირებს პროფესიული სტუდენტების ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასების პროცესში გამოყენებული დოკუმენტაციის სათანადო აღრიცხვას და შენახვას, პროცედურებსა და ვადებს. როდესაც პროფესიული სტუდენტების შეფასება ხორციელდება, ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და შეფასების ინსტრუმენტები აღირიცხება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სანამ პროფესიული სტუდენტი სწავლას დაასრულებს, ხოლო შემდგომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ საცავში, სადაც მას 3 წლის განმავლობაში ინახავენ, რათა უზრუნველყონ შეფასების სრული და უსაფრთხო აღრიცხვა. შემდგომ კი ის ნადგურდება საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად. რაც შეეხება შეფასების უწყისებს, ისინი ინახება უვადოდ და ყოველთვის ხელმისაწვდომია საჭიროების შემთხვევაში. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯში შეფასების სისტემა ეფუძნება არადიფერენცირებულ შეფასებას, რომლის მიხედვითაც კრედიტის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს მოდულით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი. შეფასების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც სტუდენტებს ინდივიდუალურად ეძლევათ უკუკავშირი და რეკომენდაციები. შეფასების შედეგების გაცნობა ხდება პირისპირ ფორმატში, რაც დასტურდება პროფესიული სტუდენტების მიერ. დაწესებულების პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება ადასტურებს, რომ განმავითარებელი შეფასება სისტემატურად თან ახლავს სასწავლო პროცესს. მასწავლებლები რეგულარულად ახდენენ შედეგების ანალიზს და გასცემენ რეკომენდაციებს სტუდენტთა კომპეტენციების განვითარების მიზნით. უკუკავშირის უზრუნველყოფისათვის აქტიურად გამოიყენება ინდივიდუალური კონსულტაციები, რომლებიც აღირიცხება მოდულის განხორციელების სტატისტიკურ და შეფასებების აღრიცხვის დოკუმენტაციაში. შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და მხარდაჭერისთვის.

**ექსპერტთა მიერ, მოცემული ქვესტანდარტი ფასდება შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - კოლეჯ „სპექტრში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N. N 9ა, 10 ა, 11 ა (27/01/ 2025 წ’;
2. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. ვერიფიკაციის გეგმები და ვერიფიკაციის პროცესის მტკიცებულებები;
4. ვალიდაციის მტკიცებულებები;
5. ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან;
6. ვიზუალური დათვალიერების შედეგები..

შეფასება:

*7. გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

*8. შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.......................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................

10/03/2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------- ნ. მონიავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------